საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი **26.08.2020 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: იოსებ ჩხაიძე, ციცინო ჩხაიძე, ზურაბ კუკულავა და ამირან გიგინეიშვილი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5. წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.**

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ სხდომას წარუდგინა განმარტებითი ბარათი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებაში მიმდინარე წლის 19 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1578 განკარგულებით შესული ცვლილებებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 686303 ლარი, შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტით 5%

თანადაფინანსება განისაზღვრა 36121 ლარით, სულ ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსება გაიზარდა 722424 ლარით და მიიმართება ღრმაღელე-ორმეთი-ომფარეთის გზის რეაბილიტაციაზე 200.0 ათასი ლარი, მ.შ. თანადაფინანსება 10.0 ათასი ლარი. ქალაქ ლანჩხუთში 3 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა 371499 ლარი, მ.შ. თანადაფინანსება 18575 ლარი. ქალაქ ლანჩხუთში გორგასლის ქუჩის მიმდებარე მინი სტადიონის მოწყობა 150925 ლარი, მ.შ. თანადაფინანსება 7546 ლარი.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 12 ივნისის N973 განკარგულებით 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებაში შესული ცვლილებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერის ლიმიტი გაიზარდა 90.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 610.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს N1574 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1300000 ლარი, ხოლო სტიქიით დაზიანებული ობიექტების სრულყოფილი რეაბილიტაციის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართება 120000 ლარი არაფინანსური მუხლის ზრდის ხარჯზე.

საზოგადოებრივი ცენტრების სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია (ორგ.კოდი 02 06 01) არაფინანსური აქტივების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 19010 ლარით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალის მოწყობის მიზნით.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა არსებული პრობლემების ნაწილობრივ მოგვარების მიზნით შეძენილი იქნას 100 ცალი 1100 ლიტრის ტევადობის ნაგვის ურნები სავარაუდო ღირებულება 65000 ლარი, ნაგვის ურნების შეძენის მიზნით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი 65000 ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით, ამასთან მიზანშეწონილია მომსახურების ცენტრს დამატებით გაეზარდოს დაფინანსება 47650 ლარით, რომელიც მიიმართება არაფინანსური აქტივების მუხლი 20000 ლარი და ტრანსპორტის ხარჯი 28650 ლარი.

ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელში ჩართვის მიზნით გაიზარდოს 800 ლარით კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში (ორგ.კოდი 02 03 02).

აღნიშნული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსების მიზნით გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში 313581 ლარით, ჯარიმების, სანქციების და საურავებიდან მიღებული შემოსავლის გეგმის 313581 ლარით ზრდის ხარჯზე.

დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საქონელი და მომსახურების მუხლი 11995 ლარით და რბილი ინვენტარის მუხლი 11005 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 23000 ლარით.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 4305 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივები 4305 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის საქონელი და მომსახურების ხარჯის 670 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ხარჯი 670 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლის 2985 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2985 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ გამოითქვა შენიშვნები.

საკრებულოს წევრის, იოსებ ჩხაიძის მოსაზრებით აუცილებელია აღნიშნულ ცვლილებას თან ახლდეს

თუ კონკრეტულად სად რა პროექტები კეთდება ცხრილის სახით.

კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე მახათაძის განცხადებით სასურველია სტიქიით დაზარალებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით ადგილობრივი შემოსავლებიდან მობილიზებულ 120 000 ლარს დაემატოს კიდე 20 000 ლარი სოფ. ლესაში დაზიანებული სახლის აღდენისთვის.

კომისიის წევრების მოთხოვნაა ინფრასტრუქტურის დახარვეზებულ ობიექტებზე მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-4, წინააღმდეგი-1 იოსებ ჩხაიძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2020 წლის ივლისის თვეში შემოსულობებმა 10995311,82 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 60,2%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 4379311,06 ლარი, რამაც წლიური შესრულების 54,2%-ია; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის 128100 ლარი, რაც წლიური გეგმის 58,2%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1132637,44 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 64,9%-ს შეადგენს, ქონების გადასახდის შემოსავლები წლიურ გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 53,4%-ით და შეადგინა 693646,59 ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადი 309087,97 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 45053,48 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 90,1% შეადგინა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 43149,24 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 9,8% შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 2361221,28 ლარი. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 51228,1 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 34,2% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 10012,11 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 100,1% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 8276,74 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 34,2% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 2163552,27 ლარი წლიური პროგნოზის 288,5%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 123878,63 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 7136,3 ლარი, წლიური პროგნოზის 2.6%. განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 9885793 ლარი. ივლისის თვეში შტატით დასაქმებულ მოსამსახურეებზე გაიცა 2899359 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1126916 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 2259439 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 3849025 ლარი.

კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობებმა სულ 8793172 ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 48,1 %-ს შეადგენს, აქედან შემოსავლები (კაპიტალურის ჩთვლით) 5483363 ლარია და საპროგნოზო მაჩვენებელი წლიურთან მიმართებაში შესრულებულია 53,8 %-ით, მ.შ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 2951279 ლარი, წლიური გეგმის 38,8 % და ეს მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან 266277 ლარით ნაკლებია, რაც ძირითადად გამოწვეულია პანდემიის გავლენის შედეგად. ქონების გადასახადის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი შესრულებულია 56,7 %-ით, მიღებულია 737572 ლარი, აქედან უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 352272 ლარი, საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი 311289 ლარი და მიწის გადასახადის სახით (სასოფლო, არასასოფლო) 72945 ლარი. სხვა შემოსავლებით მიღებულია 1787375 ლარი და წლიური გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, რაც განპირობებულია ჯარიმების, სანქციების და საურავების გათვალისწინებულზე 924440 ლარით მეტია მიღებული, მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შემოსავლებში, როგორიცაა სანებართვო მოსაკრებელი და ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მიღებიდან შემოსავლის შესრულება არ აღემატება 32,5 %-ს, არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვიდან) შემოსავალი მიღებულია მხოლოდ 7136 ლარი, რაც წლიური პროგნოზის 2,6 %-ს შეადგენს და არც წლის დარჩენილ პერიოდშია მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შემოსავლის მიღება. განვლილ 6 თვეში ბიუჯეტში გრანტების სახით მიღებულია 3309809 ლარი წლიური პროგნოზის 40,9 %, მ.შ. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია 122274 ლარი, რომლებიც უნდა მიიმართოს გრიგოლეთის და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურებაზე, მიზნობრივი ტრანსფერი 109800 ლარი დელეგირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან ჩარიცხულია 1862016 ლარი, რომელიც მიმართულია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაზე 83647 ლარი, სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციოდ 687019 ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების დასაფინანსებლად 444973 ლარი. საანალიზო პერიოდში დაფინანსებულია 7747504 ლარის ხარჯები, მ.შ საქონელი და მომსახურებაზე მიმართულია 2867762 ლარი გაწეული ხარჯების 37,0 %, სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 182010 ლარი, (2,3%), არაფინანსურ აქტივებზე მიიმართა 5486056 ლარი, ფაქტიური ხარჯების 70,8 %, შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა (ააიპ-ის ჩათვლით) 2414691 ლარი გაწეული მიმდინარე ხარჯების (არაფინანსური აქტივების გარეშე) 46,5 %, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაიხარჯა 260241 ლარი მიმდინარე ხარჯების 5,0 %, სუბსიდიებზე მიმართულია 241898 ლარი ხარჯების 4,7 %, მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებაზე 360491 ლარი გაწეული მიმდინარე ხარჯების 6,9 %, მუნიციპალიტეტის მერიის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 921702 ლარი ფაქტიური ხარჯების 17,7 %, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის 62089 ლარი (1,2%-ს), მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 47213 ლარი (1,0%-მდე) ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 85145 ლარი (1,6%), სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე 1067245 ლარი (20,6%), სპორტული ცენტრის ფუნქციონირებაზე მიმართულია 210382 ლარი (0,4%), მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი დაფინანსდა 95000 ლარით (1,8%), ქალთა საფეხბურთო კლუბის დაფინანსება 93580 ლარით (1,8%), ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე მიიმართა 125505 ლარი (2,4%), კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებამ 375618 ლარი შეადგინა (7,2%), სახელოვნებო განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 158862 ლარი (3,1%),

მიმდინარე წელს კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე მოსახლეობას სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით გაეწია კვების პროდუქტებით დახმარება 23200 ლარის ოდენობით, გადაუდებელი აუცილებლობით მომსახურებაზე სარეზერვო ფონდიდან გაიცა დახმარება 15844 ლარის ოდენობით.

კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

26.08.2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

2020 წლის 26 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ივლისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ივლისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

5

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.08.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 45	
2	ციცინო ჩხაიძე	12:00	
3	გიორგი ჩახვაძე	[illegible]	
4	დავით ჩხარტიშვილი	[illegible]	
5	ამირან გიგინეიშვილი	12 00	
6	იოსებ ჩხაიძე	11 45	
7	აკაკი იმნაიშვილი	[illegible]	
8	ზურაბ კუკულავა	11 55	ზ. კუკ[illegible]